

ცისნამი ბერიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მეცნიერი თანამშრომელი; ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ელ. ფოსტა: tsisnam.beridze@bsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0005-8200-1668>

აბსტრაქტი: წინამდებარე ნაშრომი ეხება აჭარული დიალექტის ერთ-ერთი გამორჩეული ერთეულის, მერიის ხეობის მეტყველების ზოგიერთ მორფოლოგიურ თავისებურებას. კვლევა ეფუძნება საველე-დიალექტოლოგიური მუშაობის შედეგად ჩემ მიერ მოპოვებულ ემპირიულ მასალასა და ცოცხალ მეტყველებას. ნაშრომში დეტალურადაა განხილული ის გრამატიკული მოვლენები, რომლებიც ვლინდება სახელის ფორმარმოებაში, ზმნის სტრუქტურაში, ზმნისწინთა ფუნქციონირებასა და დამხმარე მეტყველების ნაწილთა (კავშირები, თანდებულები, ნაწილაკები) გამოყენების სპეციფიკაში. მერიის ხეობის ლინგვისტური მასალის ანალიზი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ზემო აჭარის მეტყველების თავისებურებათა წარმოჩენაში, აჭარული დიალექტის შესწავლა კი სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნის ქართული ენის სამხრულ მეტყველებაზე.

სტატიაში გამოყენებულია სამხრულ მეტყველებაზე დაკვირვებების შედეგად შექმნილი პრობები და კვლევები, აღსანიშნავია, რომ ბევრი მოვლენა გადაისინჯა თანამედროვე მეცნიერების მიერ, რომლებმაც უფრო სრულყოფილად წარმოადგინეს სამხრული კილოების თავისებურებები.

სტატიის შექმნისას გამოვიყენეთ ემპირიული მასალის დამუშავების, ისტორიულ-შედარებითი, აღწერის, ანალიზის, სინთეზის და შეპირისპირების მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: მერიის ხეობა; მორფოლოგიური თავისებურებები; აჭარული დიალექტი; სამხრული მეტყველება.

მსჯელობა/შედეგები: ჩვენი კვლევის მიზანია ზემოაჭარული კილო-კავის ერთ-ერთ თქმის - მერიის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაზე დაკვირვება და მისი თავისებურებების წარმოჩენა. ამ მიზნით აღნიშნულ ხეობაში ჩავიწერეთ დიალექტოლოგიური, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ტექსტები, რომელთა ანალიზმა მოგვცა საინტერესო ლინგვისტური სურათი.

სამხრული კილოების მსგავსად ზემო აჭარულში და რა თქმა უნდა, მერიის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაშიც, გვხვდება სხვადასხვა მორფოლოგიური თავისებურება. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

სახელის ბრუნება:

მერიის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში სახელები თავისებურებას ავლენენ ბრუნვისას. ხმოვანფუძიანი სახელები, საკუთარიც და საზოგადოც, **სახელობით** ბრუნვაში დაირთავენ **ა** (<ი) ნახევარხმოვანს. მაგალითად:

ბაბაა შეწუხებული მყავს და ხვალ არ ვიქნები სახში; ადრე **მამინაა** იყო, **ზაპოა**; შენი **დედეა** იყო **აქიფაა**, ხომ?; **პაწაა** გული გიმხტა; **დედეა** იტყოდა; **ზულემაა** აგერ ერთი კვირაა აღარ გყავს; **მელექაა** თურმანიძეა მოხებრე; **ყველაა** მასთან გაჩდება; **ჩურულაა** ცხელი თვეა...

ხმოვანფუძიან სახელთა სახელობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის დართვასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ახალ კვლევებში აღნიშნულია, რომ აჭარულშიც და სხვა სამხრულ კილოებშიც სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებს სახელობით ბრუნვის ნიშნად დაერთვის -ი (ფაღავა, ..., 2022: 51-52). თავის დროზე ამ აზრს ავითარებდნენ შ. ნიჟარაძე (ნიჟარაძე, 1975: 118; ნიჟარაძე, 1961: 66-67; ნიჟარაძე, 1957: 32), ჯ. ნოღაიდელი (ნოღაიდელი, 1960: 31), ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე, 1989: 552).

შ. ფუტყარაძე „ჩვენებურების ქართულში“ სამხრული კილოების თავისებურებების განხილვისას აღნიშნავს, რომ ხმოვანფუძიან სახელებს სახელობით ბრუნვაში დაერთვის -ი ბრუნვის ნიშანი (ფუტყარაძე, 2016; ფუტყარაძე, 2021: 183). აღვნიშნავთ, რომ აუსლაუტში ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ი-ს დავიწროება სამხრული მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა.

მერისის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში, მოთხრობითი ბრუნვა განსაკუთრებული თავისებურებებით არ გამოირჩევა. სალიტერატურო ენის მსგავსად, ხმოვანფუძიან სახელებს მოთხრობით ბრუნვაში დაერთვის -მ, ხოლო თამხმოვანფუძიან სახელებს -მა, მაგრამ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოსალოდნელი სახელობითი ბრუნვის ნაცვლად მოთხრობითი ბრუნვაა გამოყენებული, მაგალითად:

თქვენ რომ იყავით, იმ კაც ერთი კვირის წინ **გოგომ გეაქცა** (გოგო გაეცა); ზვავი წამოვდა და **წისქვილმა წეიქცა** (წისქვილი წაიქცა); მე მგონი შენ **თვალმა გეცა** (თვალი გეცა); **გულმა გუუსკდა** (გული გაუსკდა) დარდში...

მერისის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მიცემით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანი -ს იკარგება. მაგალითად:

სახლ (სახლს) დაალაგებდა და ისე წევდოდა ძროხებში; ადრე **თუთუნ** (თუთუნს) ვგავდით; **კარტოფილ** (კარტოფილს) ხულოდან ვზიდევდით; ვარჩევ **სიმინდ** (სიმინდს); **ქალ** (ქალს) საქმე დააკლდება; **თაფლ** (თაფლს) ვურევ ცოტას...

მერისულში ხშირია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული -ს-ს დაკარგის შემთხვევებიც. მაგალითად:

ოთახი (ოთახის) კარები გავაღე და ფაროსანები სავსეა; წინდებს **წინდი** (წინდის) ჩხირით ვქსოვდი, ახლა ჰაზირს ყიდულობენ; **ქოხი** (ქოხის) **კარები** (კარები) დასაკეპათ ევდენ; თელი ღამე **ძაღლი** (ძაღლის) ყეფა მესმის, მარა ვინმე არ ჩანს; **ჩალი** (ჩალის) ზვინ ვყიდი, ჰადადაა ძროხები...

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია: რომ „ს-ს დაკარგვა უპირატესად წინაენისმიერ საშუალებებთან გავრცელებული მოვლენაა ქართული ენის დიალექტებში“ (ტაო, 2020: 691; კლარჯეთი, 2016: 533; ფაღავა..., 2022: 25), „ს-ს დაკარგვის საფუძველი ქართულ წარმოთქმაში უნდა ვეძიოთ“ (კლარჯეთი, 2016: 533).

ივ. ქავთარაძე **ს-ს** დაკარგვასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ იგი საერთოქარველური მოვლენაა. მკვლევარი იმოწმებს მაგალითებს გვიანი პერიოდის ლიტერატურული ძეგლებიდან: გავწორდებით, დავიწარი, დავწრებივართ (ქავთარაძე, 1964: 140). შდრ. მიწასთან გააწორა და მოკლა (ყარ. 566) (ფაღავა..., 2022: 19).

მერისულში **მოქმედებითი** ბრუნვაც ავლენს თავისებურებებს, როგორც სხვა სამხრულ კილოებში. ხმოვანფუძიან სახელებში -თ(ი) ბრუნვის ნიშნის ნაცვლად გვხვდება -ით. მაგალითად:

ყაზმაით ხელში იქნები შენც; **რაით** ხარ უკმაყოფილო; **თამარაით** არის ის, რაცხა არის; **სანიით** ვართ ოჯახი ფეხზე...

მერისის ხეობის ცოცხალი მეტყველება გვიჩვენებს, რომ ვითარებით ბრუნვაში -ად/დ ბრუნვის ნიშანი ყრუვდება და სისტემურად გვაქვს -ათ/თ. მაგალითად:

თლათ **წითლათ** შეიღება აჭარიწყალი; ღმერთმა **ღამურათ** აქცია; მერისის კალმალე **წითლათ** არი შეღებილი; ცხრა **კლასათ** გადააკეთეს მერე; **თეთრათ** მეფარება თვალებზე ნისლი; ახლა იბარანა **სუსტათაა**, რაცხა...

მერისულში -იან სუფიქსიანი სახელები ვითარებით ბრუნვაში -ა ხმოვნითაა წარმოდგენილი. მაგალითად:

ცოლ-შვილიანა გედებიარგა; რუს **სტუმრებიანა** წველ ზღვაზე; **დედა-ბუდიანა** ამოწყვიტეს თუ(რ)ქებმა; **დიდიან-პატარაიანა** ყვლაა მარხულობდა; **ქალიან-ბაღნიანა** წვდენ ბათუმ; მე ვარ მარტო ჩემ **დედაბრიანა**...

მერისულში შევხვდებით შემთხვევას, როცა ერთი ბრუნვის ფორმა ენაცვლება მეორეს. ზოგჯერ მოსალოდნელი მოქმედებითი ბრუნვის ნაცვლად გვხვდება სახელობითი ბრუნვა. მაგალითად:

ერთი **გემრიელაა** კი მუუზაპუნა; ჩემი შვილის **ერთაა** წვედა პოლონეთში; პირველაა შემემინდა, წესიერაა ვერც ვიცნობ; წესიერაა არ მიძინია; ჩემ გულობაა არ და(რ)ჩე; თათრულაა სიმინდია...

რაც შეეხება წოდებით ბრუნვას, მერისულში ხშირად საკუთარ სახელებს, როგორც თანხმომავანფუძიან, ისე ხმომავანფუძიანს, დაერთვის -ვ ბრუნვის ნიშანი, რაც ზოგადად აჭარული კილოსთვი-საა დამახასიათებელი. მაგალითად:

მეხსუდავ, გეიხსენე ჯარში რაფერ წაა, **მეხსუდავ**, ქორწილი მუუყე მაგ გოგოს; **მიქაელავ**, შენ კაცი ხარ თუ რადიო; **მელიქავ**, ხაში აჭამეთ ამათ; **ზექიევ**, შუულოცე ერთი შენებურა; **სანიევ**, კოფე დაადგი....

მერისულში მრავლობითი რიცხვის ძირითადი მაწარმოებელია -ებ. როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, **ე’-ზე** დაბოლოებულ სახელებთან **ებ’-იან** მრავლობითში ორი **ე’** მოიყრის თავს. თუმცა მერისულში ორი **ე’** დისიმილირდება და მიიღება **იე’** დაბოლოება. ეს მოქმედი პროცესია არა მარტო აჭარულისთვის, არამედ სხვა სამხრული კილეობისთვის (ფაღავა...2022; ფაღავა...2023; ფუტყარაძე, 2016: 251; ფუტყარაძე 2021: 184). მაგალითად:

ლეიწყო საშინელი **სიცხიები** (სიცხეები); გაჩინდა **სიმსივნეები** (სიმსივნეები); ამ **კიბიებზე** (კიბეებზე) მიჭირს სიარული; ბევრი **საქმიები** (საქმეები) მქონდა; ნელ-ნელა დაბერდა **კილდიებიც** (კლდე); გეიზარდა **დღიები** (დღეები)...

მერისულსი ა’ ხმოვანზე დაბოლოებული სახელი მრავლობით რიცხვს **აწარმოებს ე’** ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ანალოგიით -იებ დაბოლოებით. მაგალითად:

აგერ, თურმანიძეებში ხის **უსტიებმა** კოტეჯები დააწუწვეს; ადრე იყვენ **ადიები**; ახლა რაღა უნდა, **გზიები** დასხმულია; ძროხები **გზიებში** წვებიან; იმ ტყეში **მუხიები**; ახალგაზდა ძროხებს წაწვეტებული **ქიები** აქვან...

ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი მერისულში, ისე როგორც, ზოგადად, სამხრულ კილეებში, განსაკუთრებული თავისებურებებით არ გამოირჩევა.

ზედსართავი სახელის „**უმფროსი**“-ის ნაცვლად გვხვდება „**უმფოსი**“<უმფროსი<უმფროსი. **უმფროს’**ში **მ’** განვითარებულია უმცროსის ანალოგიის (გ. ახვლედიანი).

საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

მაშინდელი **უმფოსი** იყო ლევანა; **უმფოსო**, მამობძანდი; მიხეილა რომაა, მაგათი **უმფოსი** ძმა; გაფუჭდა ახალგაზდობა, **უმფოსებს** ვერარ გვცნობილობენ...

მერისის ცოცხალ მეტყველებაში განსაკუთრებული თავისებურებებით არც ნაცვალსახელი ხასიათდება. თავისებურია **ეს’**, **ის’** ნაცვალსახელების გამოყენება შეკვეცილი ფორმით: ნაცვალსახელთა თანხმოვნითი ნაწილი მოკვეცილია და გვხვდება **ე’**, **ი’**. მაგალითად:

ე(ს) რა სიცხიები დეიწყო; **ე(ს)** რამდენი უწვალა; **ი(ს)** იმფერი კაცი იყო; ჰაიდან მეფყანა **ი(ს)** გოგო; **ე(ს)** გული თუ არ გიმისკდებოდა არ მეგონა; მეგემ გუუშვეს **ი(ს)** კაცი და დეჭირეს; **ე(ს)** იმისთნა შვილია; **ე(ს)** ვინ არი ჭო; წევყაა **ე(ს)** ქალი წყალტუბოში; მიყურებს **ე(ს)** ქალი და მებნევა; მე ვუთხარ, **ი(ს)** ძალვან დეიჩაგრა; **ე(ს)** იმფერი ქალი მყავს, ზამთარ-ზაფხულ ცივა-მეთქი...

მერისულში **ამას', ამის', მაგი'** ნაცვალსახელების ნაცვლად შეგვხვდება **ამა', იმა', მაი'**(>იმა) ფორმები. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

იმა(ს) მაი (მაგი) რაფერ შეშალა; **იმა(ს)** ხედავ, იმ კოტეჯებ, ოთხი ცალი ააშენა კაცმა; **მაი** ხაში მზადაა და ვაჭამოთ სტუმრებს; **იმა(ს)** მასე ნუ უყურე; იმა(ს) ღუუძახებდი და მეხმარებოდა; **იმა(ს)** სამი ბიჭი ყავს, მე - ერთი; **იმა(ს)** იმფერი გუუხარდება; **იმა(ს)** ღუუწერა ლექსი...

მერისის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში **„ასეთი“, „ისეთი“** ნაცვალსახელის ნაცვლად გვხვდება **„ამფერი“, „იმფერი“**. მაგალითად,

ამფერი რა გეიჩინა, რომ აღარ იყურება ამკენ; **ამფერი** იყო მაშინ ცხოვრობა; **ამფერი** რა ისესხა, რომ აღარ გამეიდარა; **იმფერი** გოგო იყო, ნეტად ვინცხას ოჯახში შევა; **იმფერი**, საშინელი სიცხიები იცის; რაცხა, **იმფერი** უშნო იყო; იმა **იმფერი** გუუხარდება; **იმფერი** ქალი მყავს, ზამთარ-ზაფხულ ცივა-მეთქი... **იმფერი** სიმკაცრე იყო მაშინ სკოლაში და სხვა.

ზმნა:

მერისის მკვიდრთა მეტყველებაში გვხვდება ზმნასთან დაკავშირებული თავისებურებებიც. განსაკუთრებით თვალშისაცემია ზმნის მრავლობითი რიცხვის წარმოება. მრავლობითში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის **ნენ'** დაბოლოების ნაცვლად გვაქვს **ენ'** დაბოლოება:

ადრე დედოფალს კაბას **შუუკერავდენ** (შუუკერავდენენ); ადრე **გადმეიპარებოდენ** (გადმეიპარებოდენენ); ჩვენი მამები წინ **დაწინაურდებოდენ** (დაწინაურდებოდენენ); სიხარულით ცას **ეწეოდენ** (ეწეოდენენ); მოხუცებ გულს **გუუხარებდენ** (გუუხარებდენენ); რა გგონია, იმ ტალახში **გუუხტებოდენ** (გუუხტებოდენენ)-**გამუუხტებოდენ** (გამოუხტებოდენენ);

უნდა აღინიშნოს, „დასავლური ჯგუფის დიალექტებისთვის დამასახიანებელია **-ნენ'** სუფიქსის ნაცვლად **-ენ'**-ის გამოყენება, რაც ფორმათა უნიფიკაციის ტენდენციით აიხსნება“ (ჯორბენაძე, 1989: 529).

აღსანიშნავია, რომ მერისულში ხშირად სუბიექტური პირის ნიშანი **ჰ'** არაა წარმოდგენილი ზმნებში. მაგალითად,

კითხე (ჰკითხე), აბა, თუ წამუა; შენ მამამთილ გრიშაი **ქვია** (ჰქვია); იმა ორი ძმა **ყავს** (ჰყავს); სამი ბაღანა **ყოლია** (ჰყოლია); გული საგულეს აღარ **ქონია** (ჰქონია) შიშისგან; იმა მეხსუდაა **ქვია**; ბაბას კარტოფილი ხულოდან **ჩამოქონდა** (ჩამოჰქონდა)...

მერისის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში გვხვდება შემთხვევები, როცა წყვეტილის მწკრივში **-ე** დაბოლოებას ემატება **-ვი'**. მაგალითად,

იმფერი ძალი **მევყვანევი**, რომ მარხულობს; ჯარში წერილი **წევკითხევი**, რომ მეგემ ანაჲ მომკდარა; ჩემი სიცოცხლე მას **შევწირევი**; ქალი **მევყვანევი**...

ენათმეცნიერები აღნიშნავენ, რომ ამგვარი წარმოება უცხოა ქობულეთურისა და ქვემოაჭარულისთვის (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017: 57).

საანალიზო ფორმები გვიჩვენებს, რომ მერისულში **-ავ** თემის ნიშნის ნაცვლა **-ევ** იხმარება. მაგალითად,

ყარტუფას ხულოდან **ვზიდევდით**; **ხედევდი**, რაფერი გულდიდი იყო; სხალს ჭურში ჩავყრი- დით, **დავახურევდით** და **ვინახევდით**; ჯარში წერილი **წევკითხევი**; ნახევდი, რომ ბათუმში გაგზა- ნილი, ხულოს ამოყოფდა თავს; ერთ ჰექტარს **თესევდა**; ჩვენ ვერ ვჭამდით, სტუმრისთვის **ვინახევ- დით**; სხალ-ვაშლ **მოკრიფევდა**;

ზმნისწინი:

ქართული ენის დიალექტებისთვის დამახასიათებელია ზმნისწინისეული ხმოვნითი ნაწილის შეცვლა. მერისის მკვიდრთა ცოცხალ მეტყველებაშიც ზმნისწინი იცვლის ხმოვნით ნაწილს. **და'** ზმნისწინის ნაცვლად გამოიყენება **ღუ' ან ღე'** ფორმა. მაგალითად:

ღუუბრმავდეს (დაუბრმავდეს) მისი თვალები; **ღუუბიქსეს** (დაუბიქსეს) კარები; **ღუუნგრიე** (დაუნგრიე) იმ ქალ ოჯახი; მიდი და **ღუუჭირე** (დაუჭირე) ფიცრები; იმხელა ხმაზე **ღუუძახა** (დაუძა-

ხა); საკორწიალაზე ძროხებს საღამოს ჩალა **დუუყარე** (დაუყარე); ერთი და აქ **დუუსახლებია** (დაუსახლებია); მეშოკებ თავებს **წუუკერავენ** (წაუკერავენ); ამან **დუუწყო** (დაუწყო) ლაპარიკი; ბევრი ლექსები **დუუწერია** (დაუწერია); ბადნები **დუუყარა** (დაუყარა) და **დუუტია** (დაუტოვა)...

გუ' ან გე' ფორმა:

აწიოს და იმანაც **გუუშვას** (გაუშვას) მისი ძალი; ბაბუამისმა **გუუკეთა** (გაუკეთა) სახლი; საკორწიალაზე **გუუკორწიალდებოდით** (გაუკორწიალდებოდით); ნაჩუქარ ცხენ კბილებ არ **გუუსინჯავენო** (გაუსინჯავენო); ამფერი საქციელი სხვას **გუუკვირდება** (გაუკვირდება).

ღვასახელებთ ზმნისწინთა ხმოვნითი ნაწილის შეცვლის სხვა მაგალითებს:

მოუკიდებდა (მოუკიდებდა) ცეცხლ და დაწვავდა; ადრე სახლი **მოუწყობელი** (მოუწყობელი) მეონდა; ამფერი შეცდომა **მოუვდენ** (მოუვიდათ); ეს კაბა **მოუხტება** (მოუხდება) ჩემ ძალ; **მოუყვა** (მოუყვა) სიზმარი...

ქალი **გაექცა** (გაექცა) სახლიდან; მას **გაეცინა** (გაეცინა) და უთხრა; **გაედვიდა** (გაედვიდა) რომ არვინ არ არი სახში...

კაი ჩასაცმელი **შეურჩიე** (შეურჩიე); მერე სახელი **შეუცვალა** (შეუცვალა); იმ ბაღნისთვინ ფული **შეუგროვებია** (შეუგროვებია); ბაღანას საქმელინა **შეურჩიო** (შეურჩიო); ყანაში ტურებს სიმინდი **შეუჭამიან** (შეუჭამიან); გრიპი ისევ **შეუბრუნდა** (შეუბრუნდა)...

ღედაბერს ვეფხვისტყაოსანი ზოთივში **შეუტანეს** (მიუტანეს); კატას **შეუალერსა** (მიუალერსა); სტუმრებისთვინ კაი ყურადღება **შეუქცევია** (მიუქცევია); **შეუახლოვდენ** (მიუახლოვდენ); ამასობაში ავადმყოფობამ **შეუსწრო** (მიუსწრო) და მოკდა და სხვა.

იცვლება **შემო'**, **ჩამო'** ზმნისწინის ხმოვნითი ნაწილიც:

როგორც აჭარულში, ისე სხვა სამხრულ კილოებში ზმნისწინთა ხმოვნითი ნაწილის შეცვლა დადასტურებულია არაერთ გამოკვლევაში. ცვლილების მიზეზი ყველა შემთხვევაში ფონეტიკურია (იხ. ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:57; ფაღავა..., 2022: 70-73; ფაღავ..., 2023: 50,51; ტაო, 2020: 736-738; ნიქარაძე, 1975: 145-146; ნიქარაძე, 1961: 94-95; ნიქარაძე, 1957: 40-41; ფუტკარაძე, 2016).

ზმნიზედა:

მერისულში გარკვეულ თავისებურებას იჩენს ზმნიზედაც. როგორც სალიტერატურო ენიდანაა ცნობილი, ადგილის ზმნიზედა გადმოიცემა **-ში** თანდებულთ, მაგრამ მერისულში **-ში** თანდებულის გარეშე, ან დაერთვის სუფიქსი **ს'**. საილუსტრაციოდ დავასახელებთ მაგალითებს:

ადრე **ბათუმ** თვეში ერთ ვერ ჩევდოდით; ქალი **საირმეს** ძლივს წევყვამ; თბილისს ვცეკვობდით; ჩემი ბიჭები **ბათუმ** ცხოვრობენ; ჩვენც ზამთარში წავალთ **ბათუმ**..

აქ, იქ ადგილის ზმნიზედების ნაცვლად მერისულში გვხვდება **აგზე, იგზე** ფორმები. მაგალითად:

იგზე დაბდნდით; **იგზეა** მეხსუდას სახლი; **იგზე** იყავით? აგერ **აგზე** მაქ გასასხლავი ვენახი...

აგზე, იგზე დამახასიათებელია ზემოაჭარულისთვის. „ფორმები უცხოა ქობულეთურისთვისა და ზოგადად ქვემოაჭარულისთვის“ (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:61), გვხვდება კლარჯულშიც:

მერისულში სპორადულად გვხვდება **შიან'** ზმნიზედა, ნიშნავს, **შიგ, შიგნით**. მაგალითად:

კაკალი **შიან** ჭირიანია; წრეკლაჲ ვაშლი **შიან** დამატლული იყო; **შიან** შემოდო; **შიანედან** ნახე თვარა...

ზემოაჭარულისთვის ნიშანდობლივია **შიან'** ზმნიზედაც. არაა დამახასიათებელი ქობულეთურისა და ბათუმურისთვის (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017: 61).

შიან' ზმნიზედის ნაცვლად, ქობულეთურისთვის დამახასიათებელია **შით'** (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017: 61), რაც ასევე, გვხვდება მერისულშიც. მაგალითად:

შით იყოს ჯობია; მაშინას ბორბლების **შით** შეუგრდენ ბაღნებს...

შით<შიგ' ისაგან **გ'**ს დაყრუებით.

როგორც ნიჟარაძე აღნიშნავს, **შიან'** საშუალო ქართულში გავრცელებული „**შიგან**“ თანდებულის სახეცვლილი ფორმა ჩანს, „ოღონდ იგი თანდებულს კი არ წარმოადგენს, არამედ ზმნიზებას“ (ნიჟარაძე, 1975: 131).

თანდებული

მერისის მკვიდრთა მეტყველებაში **-თვის** თანდებულის ნაცვლად დასტურდება **-თვინ** ფორმა. მაგალითად:

სოფლის **გულისთვინ** გაწირა თავი; **მისთვინ** იყო მარტო; **კატისთვინ** დავწერე ლექსი; ცემი **გულისთვინ** მოკდა; **ჯამთელობისთვინ** წევყვანე საირმეში; **თათრებისთვინ** მუტყვილებია; **ბადიშებისთვინ** გავაკეთე ჭიბონი; **ბადიშებისთვინ** ვუკრავდი; სიმინდს **ჭყინტლისთვინ** ვგავთ; მერი-სული **სიმღერებისთვინ** დავდიოდი გუნდში; **საქონელისთვინ** რჩებოდა სახში; **ოჯახისთვინ** იყო მარტო, მე კი დროს ვატარებდი...

-თვის, -თვინ მონაცვლეობაზე საუბრობს ვ. თოფურიაც (თოფურია, 1941: 192).

მერისულში **-ვით** თანდებულის ნაცვლად აქა-იქ გვხვდება **-ვეთ** ფორმა. მაგალითად:

ქალსავეთ ლამაზი იყო, ბათაჯადი; პაწვანია, **კაკალისავეთ**; **ჭიანჭველასავეთ** შრომობენ...

კავშირი:

მერისის მკვიდრთა მეტყველებაში კავშირი რაიმე განსაკუთრებული თავისებურებას არ ავლენს.

სპორადულად გვხვდება **რომ** კავშირის **რომე** ფორმით გამოყენება:

გუშინ **რომე** გეთქვა, წინასწარ მევემზადებოდი; ადრე **რომე** მცოდნოდა ამბებს მოგიმზადებდით...

თორემ კავშირის ნაცვლად აქა-იქ გვხვდება **თვარა**:

მარინავ, არ გამაბრაზო **თვარა**, შენთან მეყვან სტუმრებს; **თვარა** არ იყოს ახლა ახალგაზდა; შენ იმარხე, **თვარა**, საქმეს რა გაჩივლებს...

ნაწილაკი

მერისულში **უნდა'** ნაწილაკის სახეცვლილი ფორმა **'ნა** დამოუკიდებლად არ გვხვდება, იგი ან სახელთან, ან ზმნასთანაა შეზრდილი. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს მერისულიდან:

ბაღანას **საჭმელი'ნა** შუურიჩიო; მას **ლექსი'ნა** დეეწერა; ვითომ **გეეცოცხლებიანა**; შენთვინ **ფული'ნა** გამეეტანებია; **დიეწიო'ნა** და **წელი'ნა** მოტეხო; **დეერტყა'ნა** ძროხაზე; ხორცი **ბილი'ნა** იყოს; მაქ **რა'ნა** ვილაპარიკოთ; ის იმფო **კაი'ნა** იყოს; რაცხა **პატივი'ნა** გეცე; მეზობელს **ლუკმა'ნა** გუუნაწილო...

უნდა ნაწილაკი დასტურდება სხვა სამხრულ კილოშიც. კლარჯულში, შავშურში (ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022: 104; შავშეთი, 2011: 271-272).

დასკვნა:

ამრიგად, აჭარული დიალექტის სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია მისი შესწავლა ლოკალურად, ხეობებისა თუ სოფლების მიხედვით. ამგვარად ჩაწერილი მასალა უფრო მეტ საანალიზო ფორმას გამოავლენს. ამ მიმართებით კვლევა ბუნებრივია, აქტუალური, საშური და სიახლის შემცველია, რაც საშუალებას მოგვცემს დიალექტი შევისწავლოთ უფრო კონკრეტულად, დეტალურად და სიღრმისეულად.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- თოფურია, 1941 - თოფურია ვარლამ, ნ. და ს. ფენებისათვის ქართველურ ენაში. მოამბე, ტ. 2, თბილისი.
- კლარჯეთი, 2016 - ფაღავა მამია, ცინცაძე მერი, ბარამიძე მაია, ჩოხარაძე მალხაზ, შიოშვილი თინა, მამულაძე შოთა, ხალვაში რამაზ, მგელაძე ნუგზარ, შაშიკაძე ზაზა, კარალიძე ჯემალ, „კლარჯეთი“, ბათუმი;
- ნიჟარაძე, 1961 - ნიჟარაძე შოთა, „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი“, ბათუმი.
- ნიჟარაძე, 1975 - ნიჟარაძე შოთა, „აჭარული დიალექტი“, ბათუმი.
- ნიჟარაძე, 1957 - ნიჟარაძე შოთა, „ზემო აჭარულის თავისებურებანი“, ბათუმი.
- ნორაიდელი, 1960 - ნორაიდელი ჯემალ, „აჭარული კილოს თავისებურებანი“, ბათუმი.
- ტაო, 2020 - ფაღავა მამია, ცინცაძე მერი, ბარამიძე მაია, ჩოხარაძე მალხაზ, შიოშვილი თინა, ხალვაში რამაზ, მგელაძე ნუგზარ, შაშიკაძე ზაზა, ხალვაში მერაბ, ჩხვიმიანი ჯიმშერ, კარალიძე ჯემალ, „ტაო“, ბათუმი.
- ფაღავა, ცეცხლაძე, 2017 - ფაღავა მამია, ცეცხლაძე ნანა, „სამხრული კილოები - ბრუნებისა და უღლების პარადიგმები, თბილისი.
- ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2023 - ფაღავა მამია, ცინცაძე მერი, ბარამიძე მაია, „ქართული ენის კლარჯული დიალექტი“, თბილისი.
- ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022 - ფაღავა მამია, ცინცაძე მერი, ბარამიძე მაია, „ქართული ენის შავშური დიალექტი“, თბილისი.
- ფუტკარაძე, 2016 - ფუტკარაძე შუშანა, „ჩვენებულების ქართული“ – II, ბათუმი.
- ფუტკარაძე..., 2021 - ფუტკარაძე შუშანა, ფუტკარაძე ელზა, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან მუჰაჯირად გადასახლებული ქართველების მეტყველების ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი“, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის შრომები XV, ბათუმი.
- ქავთარაძე, 1964 - ქავთარაძე ივანე, „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისთვის (XII-XVIII სს) – I“, თბილისი, 1964;
- შავშეთი, 2011 - ფაღავა მამია, შიოშვილი თინა, მამულაძე შოთა, ცინცაძე მერი, ჩოხარაძე მალხაზ, შაშიკაძე ზაზა, ცეცხლაძე ნუგზარ, ფუტკარაძე თამაზ, ბარამიძე მაია, კარალიძე ჯემალ, ჩოხარაძე მალხაზ, „შავშეთი“, თბილისი.
- ჯორბენაძე, 1989 – ჯორბენაძე ბესარიონ, „ქართული დიალექტოლოგია“ ტ. I, თბილისი.